**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, პეჭნალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვევრის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893



## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტმეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, დიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—3) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც მოეპოება

ალბომებში ჩაწერილი აკაკი წერეთლის

მოსწრებული ლექსები—გადააწერინოს და გამოუგზავნოს ამხანაგობას ამხანაგობისვე ხარჯით, რისთვისაც დიდი მადლობელი დაგრჩებათ გამგეობა. (3—1)

**ანონსი**

ქართული თეატრი

გასტროლები ევ. ს. მესხისა

მოწვეულია მხოლოდ

**სამ წარმოდგენაზე**

**რეპერტუარი**

1, მარგარიტა გოტიე—დრამა 5 მოქ. თხზ. ა. დიუმასი

2, ლანგ თემური—ისტორიული დრამა 4 მოქმედ. თხზულება კ. მესხისა.

3 ურიე-ლაკოსტა—დრამა 4 მოქმედ. თხზ. ა. დიუმასი.

სამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს აგრედვე კ. მესხი.

ადგილების ფასი საოპერეტოა

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის ათ საათიდან.

პირველი წარმოდგენა დანიშნულია კვირას, 7 მარტს.

გამგეობა მ. მ. საფაროვი-აბაშიძე


## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველმა უწყის, დირექტორი სახელოსნო სასწავლებლისა ბ-ნი ხარკოვი დათხოვნილ იქმნა ამას წინად სამსახურიდგან. ამის გამო ქალაქის გამგეობას მიართვა თხოვნა, ინჟენერ-ტეხნიკმა გულულოვმა, რომ ხსენებულ სასწავლებლის დირექტრობა მე მომეციო. ეს თხოვნა გარდაეცემა სამოსწავლო კომიტეტს განსახილველად.

*** როგორც მკითხველმა იცის, სახელმწიფო გარდასახადი ტფილისის უძრავ მამულებს მოემატათ 16,000 მან. ყოველ წელს. რადგანაც ეს გარდასახადი სამის წლის განმავლობაში არ გამორთმევიათ და ერთბაშად გარდახდა მამულის პატრონთ მეტად გაუძნელდებათ,—ქალაქის საბჭომ სთხოვა უმაღლეს მთავრობას, რომ ეს მომატებული ფული შეღავათით გამოერთვას ხალხსაო ხუთის წლის განმავლობაში. მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა. ამ დღეებში ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ხსენებული გადასახადი, სულ 52,633 მ. 6 კაპ. გამოერთვას მამულის პატრონებს ხუთის წლის განმავლობაში, დაწყებული 1893 წლიდგან 1897 წლამდეო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე სტუდენტებს აურჩევიათ თავიანთ შორის კომიტეტი, რომელსაც შეუძლიან მიჰმართოს ყველამ, თუ ვინიცობაა, ამ ზაფხულსაც ხოლერა გაჩნდა, და სთხოვოს, გამოუგზავნონ მასთან საბრძოლველად ერთერთი მკურნალ-სტუდენტთაგანი. ამ კომიტეტის წევრად ერთი ქართველი სტუდენტიც არის ამორჩეული, სახელდობრ, ო. ჯავახიშვილი. თხოვნა შეიძლება პირდაპირ გაეგზავნოს უნივერსიტეტის ინსპექტორს, რომელიც კომიტეტთან ერთად გადასწყვეტს, სად რომელი სტუდენტი გაიგზავნოს.

*** სპარსეთის მთავრობას „ლომისა და მზის“ ორდენით დაუსაჩუქრებია პოლიციის მოხელე ივანე დობროვოლსკი, რომელსაც სპარსეთის ქვეშევრდომის მამედ-ალი-ხაშმად-ოღლის მკვლელისთვის მიუსწვრია და დაუჭერია.

*** გუშინ, ამ თთვის 4-ს, ვერაზე ცოფიანმა ძაღლმა პოლიციის მოხელე № 5 დაჰკბინა ხელში. ამის გარდა, სანამ ამ ცოფიან ძაღლს მოჰკლამდნენ, მრავალი სხვა მოწანწალე ძაღლებიც დაჰკბინა. დაშავებული პოლიციელი სავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** კავკავის გზის სადგურ მლეთიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მლეთსა და გუდაურს შუა გასულ თთვის 28-ს დიდი თოვლის ზვავი ჩამოწვა და გუთის ეკკლესია, რომელიც სადგურ მლეთის ახლოს, მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირას იყო აგებული, საძირკვლამდე დაანგრიაო. დიაკვანი და იმისი ქალი ზვავს ქვეშ მოჰყოლიან და დღესაც ვერ უპოვნიათ. ამ ეკლესიის მღვდელი განგებას გადურჩენია.

*** ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი დ. ს. ს. ბარონი ბრიუგგენი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისიდგან.

*** მრავალნი მგზავრნი, რომელნიც აპირობდნენ რუსეთში წასვლას, სხედან ტფილისში და ელიან დღეს, ან ხვალ გაასუფთავებენ ზვავებისაგან კავკავის გზასაო. ზოგიერთა მგზავრი წავიდა კიდეც ამ გზით, მაგრამ, ვინცკი ზვავების შუა არ მოემწყვდა, ისევ უკან დაბრუნდა მლეთიდგან, ანუ ფასანაურიდგან. მგზავრებს ურჩევენ ბაქოსა და ასტრახანზე გაემგზავრნონ რუსეთს.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ცეიტლინის მაღაზია გატეხესო. ამ დღეებში პოლიციას ზოგი ნივთები მაღაზიის ჩარდახში უპოვია და I განყოფილების ბოქაულს ფეთხაინის ქუჩაზედ აღმოუჩენია ზოგიერთი მოპარული ნივთები და რამდენიმე ქურდი შეუპყრიათ კიდეც.

*** ოთხშაბათს, 3 მარტს, სისხლის სამართალში გაირჩა საქმე ალექსანდრე დრუჟინინისა, რომელსაც ჰბრალდება მოკვლა აზნაურის ვლადიმერ ნიკოლსკისა. დრუჟინინმა სთქვა, ჯერ ისევ ახალ-ჯვარ დაწერილი ვიყავი, რომ ჩემს ცოლს ლალტს ვამჩნევდიო. ამიტომ იძულებულებული შევიქენ სამსახურისათვის თავი დამენებებინა და სხვა-და-სხვა ქალაქებში მევლო. ბოლოს ტფილისში ჩამოველ და სამსახურში შევედი. იქ გავიცან ვლადიმირ ნიკოლსკი. ის ღარიბი იყო, შემებრალა და ჩემთან გადავიყვანე სახლში, მაგრამ ცოტახნის შემდეგ შევამჩნიე ღალატი ნიკოლსკის და ჩემს მეუღლესა. ჯერ თავის მოკვლა განვიზრახე... ერთხელ გოგირდითაც მოვიწამლე თავი, მაგრამ მომარჩინეს... მერე რევოლვერით განვიზრახე თავის მოკვლა, მაგრამ ქუჩაში შემხვდა ნიკოლსკი და მოვკალიო. სასამართლომ მიუსაჯა ალექსანდრე დრუჟინინს 2 წლიწადი კატორგა და ამასთანავე სხვა-დასხვა შესაწყნარებელ საბუთების გამო სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორთან, რათა დრუჟინინს დანაშაული სრულიად ეპატიოს.

*** როგორც გაზეთები ამბობენ, ტფილისში თიბათვიდგან დაიწყება ტელეფონების მუშაობა.

*** სამშაბათს, 2 მარტს, ინჟენერტეხნოლოგმა ა. პ. ბახმეტიევმა და კ. ი. ხატისოვმა ხელი მოაწერეს საამხანაგო ხელ-შეკრულობას, რომელიც შემდეგის ფირმით იმოქმედებს: „Кавказское товарищество для производства химическихъ продуктовъ“. ამხანაგობის თანხა 72,000 მანათია და სულ 48 პაისაგან შესდგება; თითო პაი 1,500 მანათი ღირს. ამათში 14 პაის ფასს ამ საზოგადოების დამფუძნებელი—ა. პ. ბახმეტიევი (15,000 მ.) და კ. ი. ხატისოვი (6,000 მ.) კისრულობენ. დანარჩენი პაიები შეუძლიანთ მსურველთ შეისყიდონ.

## ფელეტონი

### გაბრიელის დღიური

IV

ერთი რამ უნდა ჩავწერო ჩემს დღიურში და, მკითხველო, შენ ნუ მიწყენ, ღმერთი გადღეგძელებს. მე ახირებულს კაცს მეძახიან და ვარ კიდეც ღვთისა წინაშე. ან კი ამ დროებაში ვინ არ იქნება ახირებული, ვინ არ წამოროშავს ახირებულს სიტყვას, ვინ არ დაადგება ახირებულს ფიქრსა,—დროებაა ახირებული და მოდი, შენც ნუ აჰხირდები. ვისგანაც რა მისწავლია, იმათ დღეს ჭკვიანებს ეძახიან. მეც, როგორც საწყალმა კაცმა, გაკიზეპირე იმათი სწავლა-მოძღვრება. რომ გითხრათ, შევიგნე მეთქი, არ დაიჯერებთ; როგორც ქართველი კაცი, იტყვით: ვინ გაბრიელი, ვიღაც ოხერი სულიერი და ვინ შეგნებაო!? ადამიანებო, ერთი ყური დაუგდეთ, რაებს მოედება,—შევიგნეო...

სწორედ ამის გამო ვერ ვიტყვი, შევიგნე ჭკვიანთა სწავლა-მოძღვრება, არამედ ვამბობ—დავისწავლე თუთიყუშივით იმ იმედით, თუ ეს სასარგებლო არაა, ჭკვიანი კაცები რათა ქადაგებენ, რა აწუხებთ, თავებს რად იხეთქენო. დიახ, დავისწავლე იმათი სწავლა, რჩევა—მერე? რა გგონიათ მერე, რა უნდა მომხდარიყო? აი რა: შევხედე ცხოვრებას, დავაცქერდი პეტრეს, ივანეს, კიკოლას, პეტრუზას, პეტრიკას, თადეოზას, ვანიჩკას, ტანიჩკას; დავაკვირდი ცხოვრების ქსელს, კაცების ერთი-ერთმანეთთან დამოკიდებულებას, გულში ერთი კაი მადლიანი ძარღვი ჩამწყდა: აქ რაღაც ამბავია, აქ მოტყუებაა, სიყალბეაო, ვამბობ ჩემთვის, ე. ი., ველაპარაკები კედლებს. მოვიტანე ჭკვიანთა სასწორ-ჩარექი, ავსწონე-დავსწონე, ავიღე-დავიღე, ყველაფერი უკულმა გამოვიდა. გამოდგა, რომ ცხოვრება ცალკე ყოფილა, ჭკვიანების რჩევა კიდევ ცალკე მობუზულა ბნელს კუნჭულში...

აბა კიდეც ამის შემდეგ ავხირდი, ავხირდი და ავხირდი ეს გულ-უბრყვო, რუსები რომ „ნაივნის ეძახიან, ადამიანი. დიაღ, ავხირდი და ბოლოს გამოვედი ახირებული კაცი, ახირებული გაბრიელი. ზოგები ჩემს ახირებას ოხრობას ეძახიან. საწყალო ახირებულო, ოხერო გაბრიელო!..

—

ეხლა ბოქაული როზგსაც მიტუნტურებს: „ნუ ხარ ახირებული, თორემ გაგწკეპო, სწორედ ოთხმოცდა თოთხმეტი როზგია დამბალი გეჯაში თქვენისთანა ვაჟბატონების მოსაჭკვიანებლადაო. საწყალო ბოქაულო! თავიანთ ჭკვაში ვითომ უნდა შემაშინონ, ბიჭო, ჩემო ძმაო, როზგს რას მიტუნტურებ, განა ახალად ხომ არ მომხვდება ეგ როზგი, დიდი ხანია, რაც ვიროზგები, დღესაც გამროზგე, ვითომ რაო? ხორცს ეტკინოს, ოღონდაც სულმა დაისვენოს, თუ არა და ჯანდაბას ორივენი, ერთს ტაფაში დაიწვნენ, რომ ერთი მეორეს აღარ ემდურებოდეს: ხორცი სულსა და სული ხორცსა.

—

ეს ერთი. მეორე, იცით, რადა ვარ კიდევ ახირებული? მეჯავრება, როცა ჩემი ნაცნობები გააბამენ გძელს საუბარს და მსჯელობას. რა პოლიტიკას ადგია ინგლისი, საფრანგეთ'ი გერმანია, ავსტრი-ვენგრია და სხვა და სხვ. რად მინდა მაგაზე დავიგლიჯო ყელის ძაფები, როცა წინადვე ადვილად საცნობია, რასაც ვინა ფიქრობს. კაცებო, ეს დროება ისეთია, თუ მუდამ ცალი ხელი ქუდზე არ გიდევს და მეორე ქალამნებზე, ორივეთი ცარიელს გაგწირავენ. შეხედეთ თუნდა რასა შვრება კაცთმოყვარეობის, ძმობის, ერთობის და და კიდევ კაცობრიობის თანხმობის მქადაგებელი საფრანგეთი: მოიყარა ხელში ვიღაც ბეჩავი ველური ხალხი დაგომეიელები, რადგანაც თქვენ ფრანგები არა ხართ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გნთებიათ გულში და კაი საახალშენო მიწა-წყალი გქონიათო, სულ მტვერსა და ბდღვერს ადენს. ყველაც მაგასა ფიქრობს ჩინეთის მეტი, მაგრამ ვინ იცის, ისიც ამას არა ფიქრობს? რა ვიცით, რომ ეს კონფუცის ლაოცის და მენცის სამშობლო გულიგულში არ იღრინება, რომ არა ჰკვირის იმიტომ,—ერთი დავიქუხო ზვავივით და მთელი დედა-მიწა გავანადგუროვო. მცხოვრებთა რიცხვი არ შესწევს ქადილს თუ?..

დიაღ, ყველაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, სხვისა გასრესას ნდომობს ზოგი აშკარად, ზოგიც ჩუმ-ჩუმად. მეც, როგორც ადამიანიშვილი, პატარა კაცი, პატარა სამშობლოს პატრონი, ვფიქრობ, ნუ რას უკაცრავად, რომ ვფიქრობ, ნუ ჩამომართმევთ ამ ფიქრს ახირებაში, იმას-კი არა სხვას რამ ავაგლიჯოვო,—ამას

*** 1 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე დუშეთის მაზრის მცხოვრების მიხეილ (იგივე გიორგი) ზაქარიას ძის კაბანაშვილისა, სოფ. გიორგი წმინდის (ტფილისის მაზრის) მცხოვრების ილია გიორგის ძის გდელაძისა, არტემ გრიქურას ძის სტეფანოვისა და სოფ. მცხეთას მცხოვრების ილია ანდრიას ძის გარსევანაშვილისა, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ 7 ივლისს 1891 წ. ტფილისში დაეცნენ და გაძარცვეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვიგო ყურაშვილი. დამნაშავეთ სასამართლომ მიუსაჯა — ყოველივე ღირსების ახდა და რვა წლის ვადით კატორგაში გაგზავნა, გარდა, ილია ანდრიას ძის გარსევანაშვილისა, რომელიც სასამართლომ სრულიად გაამართლა.

*** ლეჩხუმი: 17 თებერვალს სვანეთიდამ ლეჩხუმს მომავალი „სტრაჟნიკი“ ხაბუი კვანჩიანი, ლათფარის წვერზე გადმოსავალ გზაზე, თოვლის ზვავმა ჩაიტანა და დაარჩო. ამაზე ცნობა მიუვიდა უმახლობელეს საზოგადოების (კალის) მამასახლისს, მაგრამ იმან ვერა ღონისძიება ვერ მიიღო. მხოლოდ შემდეგ იპოვეს თურმე სხვებმა საცოდავი დამრჩვალი.

*** მოსკოვი: შარშან, წლის დამლევს გაათავეს კურსი პეტროვსკის სამეურნეო აკადემიაში სამმა ქართველმა: ნიკ. ისარლიშვილმა, მიხ. მორბედაძემა და თ. ნიკ. წერეთელმა. წელს სტუდენტები უკანასკნელად ათავებენ ამ უმაღლესს სასწავლებელში კურს. მათ შორის ორი ქართველია. ამის შემდეგ, როგორ გადაწყდება ბედი აკადემიისა, არავინ არ იცის, შეიძლება სულ გაუქმდეს და მის მაგიერ სხვაგან დაარსდეს, რადგან იმ კომისამ, რომლის თავსმჯდომარეც ბ-ნი პლევეა, საჭიროდ დაინახა ხუთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი დაარსდეს მთელს რუსეთში სხვა და-სხვა ალაგას.

*** ცხინვალი. იმ წარმოდგენიდამ, რომელიც შარშან ზაფხულს ჰქონდა აქ გამართული პატარა ლიახვზედ ხიდის გაკეთების სასარგებლოდ, როგორც ნამდვილად გამოირკვა, შემოვიდა სულ 600 მან. აქედამ დაიხარჯა წარმოდგენის გასამართავად 200 მან. დარჩა ნაღდი 400 მან. ამ ფულიდამ 160 მანათის ხე-ტყე კიდეც უყიდნიათ, მაზრის უფროსის განკარგულებით, ხიდის მასალად, ხოლო დანარჩენი აბარია აქაურს მცხოვრებს ბ-ნს საჩ. მურადოვს. ამის გარდა, აქ ნამდვილად ამბავი მოვიდა, რომ ტფილისის საგუბერნიო მმართველობის შენობათა განყოფილებას უკვე ნება დაურთავს ხიდის აშენებისა და, ურიგო არ იქნება, ეხლავე შეუდგნენ ამ კეთილს საქმეს.

*** სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა): წარსულ თთვის უკანასკნელ რიცხვებში ორი ქურდობა მოხდა ერთსა და იმავე ღამეს. აქაურს მცხოვრებს ს. ფ—ს საჯინიბო გაუტეხეს და მოჰპარეს ერთი ცხენი. მ. ხ—ს დაკეტილის სადგურიდან ერთი ცხენი და ერთიც კაცისა და ერთი ქალის უნაგირი და კიდევ რაღაცაები მოჰპარეს. ორივენი შეუდგნენ დაკარგულის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

თებერვლის ცუდმა ამინდებმა სოფლებში გაავრცელა მოარული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ზარალი არა მოაქვს-რა. სიმინდის ფასი სოფლებში ერთობ დაწეულია, ასე რომ ფუთი სიმინდი ორ აბაზს არ აღემატება. ახალ-სენაკში მიტანილი ფუთი ცხრა შაური...

*** ს. ცხავატი (დუშეთის მაზრა): ამას წინად აქ აკურთხეს განახლებული მაცხოვრის ეკკლესია. დიდი შრომა და მეცადინეობა გასწია აქაურმა მცხოვრებელმა ზაქარია სუხაშვილმა ძველის ეკკლესიის აღსადგენად და განსაახლებლად. თუმცა თვით ხალხი ძალიან გულ-ცივად ექცეოდა ამ საქმეს და ბ-ნ სუხაშვილის მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდნენ და თითქმის შეურაცყოფაც მიაყენეს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, დადიოდა ქალაქ-სოფლებში და შემოწირულობას აგროვებდა, თვითონ მუშაობდა და ორის წლის შრომა (210 მან.) მთლად ეკკლესიას მოახმარა. ამისთანა სამაგალითო მეცადინეობისათვის სასულიერო მთავრობამ ლოცვა-კურთხევით დააჯილდოვა. ეხლა ბ-ნი სუხაშვილი სცდილობს როგორმე გუმბათი დაადგას ეკკლესიას და იქვე, გვერდით ერთი ან ორი ოთახი ააშენოს სკოლისათვის. სასურველია, რომ ხალხმაც და ყველა ამისთანა საქმის გულ-შემატკივარმა დახმარება რამე აღმოუჩინოს, თორემ ერთი კაცი ვერას გახდება.

*** ბათუმიდგან სწერენ გაზეთ. „Н. О.“-ს, რომ იქ ერთ ქუჩაზე, რევოლვერით თავი მოუკლავს ხე-ტყის ვაჭარს, ს. ი. ძ ძამიას. ძაძამია კარგად შეძლებული კაცი ყოფილა და, დიდი ხანი, განზრახვა ჰქონდა თავის მოკვლისა, მაგრამ ვერა ჰბედავდა. ამ დღეს-კი თავის მეგობრებ შორის უქეიფნია და, როცა ისინი წასულ-წამოსულან, ამოუღია რევოლვერი და გულში დაუტყვია.

*** 3 მარტს ლაბარატორის ქუჩაზე გურგენბეგოვის სახლებთან იპოვნეს მიწაზე დავარდნილი და გრძნობა მიხდილი სამსახურ გარეშე მყოფი 70 წლის უნტერ-აფიცერი პონომარევი, რომელიც მაშინვე სამკურნალოში წაიყვანეს და გზაზედ გარდაიცვალა.

*** მარტის 1 გრიბოედოვის ქუჩაზე მეჭლიქოვის სახლთან იპოვნეს მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 3 მარტს ბეგლიაროვის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა 100 წლის კაცი ასატურ ანანიკოვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმი**, 26 თებერვალს. ლეჩხუმ-სვანეთში დაწესებულია შტატით ორი ექიმი მაზრისა, —ერთი ლეჩხუმისთვის და მეორე —სვანეთისათვის. ორი ექიმი მართლაც რომ საჭიროა. სვანეთი ლეჩხუმიდან 120 ვერსზეა. მაგრამ სვანეთის ექიმს კაცი ვერ ჰხედავს აქეთ. წარსულ წლამდე სვანეთის ექიმად ირიცხებოდა ს—ლი, რომელიც მუდამ ქუთაისში სცხოვრობდა და მხოლოდ ზაფხულში ერთის თვით გამოჩნდებოდა სვანეთში და ისიც ადგილობრივ გამომძიებლის მოთხოვნილებით და იმის საქმეებისთვის, —ხალხისთვის უსარგებლო იყო. შარშან ზაფხულში სვანეთს გარშემოერტყა ხოლერა, ხალხი ყოველდღე ელოდა ამ საშინელ სტუმრის წვევას და, რომ სწვევოდა მართლა, მშველელი კაცი არავინ იყო. წელს უფრო შესაძლებელია, რომ შიგ სვანეთშიც გაჩნდეს ხოლერა და თუ, როგორც წარსულს ზაფხულს, წელსაც ისე დარჩა უექიმოდ და უსაშველოდ, ხალხი გაიჟლიტება. ნიადაგი ხოლერისათვის უკეთესი არსად იქნება, როგორც სვანეთში, ამაში დამერწმუნება ყველა, ვისაც სვანეთის ცხოვრება უნახავს, ან ესე გაგებული აქვს. რამდენად ძნელია შემწეობის მიცემა აქედან სვანეთისათვის, თუ დავდარიგი წინდაწინ და იქვე, სვანეთში, არ აქვს კაცს, ამის მაგალითი გახლავთ შემდეგი. წარსულ ზაფხულს, როცა შიში იყო ხოლერისა, ზემო სვანეთში, მულახის საზოგადოებაში, გაჩნდა გადამდები მუცლის ფიღარათი და ოცზე მეტი სული ჩააგდო ლოგინად. ადგილობრივმა ბოქაულმა გაგზავნა მოხსენება თავის უფროსთან, ამან კიდევ თავის უროსთან და გამოგზავნილი წამლები მოვიდა მხოლოდ მეორე თვეს. აბა რას უშველიდა მეორე თვეს მოწვდენილი შემწეობა, რომ ხოლერა ყოფილიყო, მაგრამ, ღვთის მადლით, უბრალო ავადმყოფობა გამოდგა. ახლა სვანეთში ახალი ექიმი არისო დანიშნული, ამბობენ, მაგრამ ეს ახალი ექიმი ჯერ აქეთ არ მოსულა! სვანეთის მკვიდრნი აპირებენ თხოვნა მიართვან ქუთაისის გუბერნატორს, რომ მთავრობამ მისცეს ექიმი სამუდამოდ, ამ ექიმმა ზამთარ-ზაფხულ იცხოვროს სვანეთში. თხოვნა, რასაკვირველია, სამართლიანია და, თუ ზამთარ-ზაფხულ არ იქნება სვანეთში ექიმი, ზაფხულს მაინც რომ იქნეს, სამართლიანიც არის და საჭიროც.

S

## სასამართლოს მატიანე

საქმე თ. მხეიძისა და ბებურიშვილისა ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

(შემდეგი *)

ოქმის წაკითხვის შემდეგ მოწმებს ჩამოართვეს ჩვენება. სულ 21 მოწმე იყო. პირველს ჰკითხეს სენაკის მაზრის უფროსს ბ-ნ ბებურიშვილს. ამის ნაჩვენებიდგან მხოლოდ ის მოვიხსენოთ, რომ „მხეიძე მსწრაფლ მოვიდა ჩემთან და მკითხა, „გუბერნატორის წინაშე რად მაძაგეთო“. მე ვუპასუხე, მაგაზე ლაპარაკი აქ მოსახერხებელი არ არის, თუ გსურთ, მოლაპარაკება, შეგიძლიათ ჩემს კანცელარიაში მობრძანდეთ (ამას გარდა გ. ბებურიშვილმა ის უჩვენა, რაც მოხსენებული იქნება ქვემოდ იმ რაპორტის ალში, რომელიც გუბერნატორისთვის მიუწერია).

ლუკა ქვანია. მიზეზი მხეიძესა და ბებურიშვილის შორის განხეთქილებისა ის რაპორტი უნდა ყოფილიყოს, რომელიც ბებურიშვილმა გუბერნატორს მიართვა. მხეიძემ მთხოვა ბებურიშვილს მოელაპარაკებოდი ამის თაობაზე და მეც შევპირდი, ხოლო ვუთხარი, რომ იმ რაპორტში საწყენი მისთვის არა არის-რა.

ანდრია კრისთავი (მომრიგებელი შუამავალი). იმ რაპორტს სენაკში ბევრი კითხულობდა, მეც მიჩვენა მხეიძემ, ხოლო მე დავამშვიდე, ვუთხარი, საწყენი შიგ არა არის-რა.

გ. მიქელაძე. სტუმრად ვიყავი ივანე დადიანისას; იყვნენ აგრეთვე ბებურიშვილი და მხეიძე. მხეიძემ მითხრა, რომ ბებურიშვილი სალაპარაკოდ უნდა გამოვიწვიოო (Хочу объясниться), მაგრამ მე ვუთხარი, რომ მაგ საქმეს ნუ იზამო. რა საგანზე უნდა მოლაპარაკებოდა ბებურიშვილს, —არ ვიცი. რაიმე მტრობა ჰქონდა თუ არა მხეიძეს ბებურიშვილთან, არ ვიცი; არც ის ვიცი, თუ რა განწყობილება იყო მათ შორის. სადილის დროს მხეიძე მოწყენილი იყო, სხვა არა ვიცი-რა.

შანშე მხეიძე. კონსტანტინე მიქელაძემ მითხრა, რომ მხეიძეს უნდა ბებურიშვილს მოელაპარაკოსო; ეს ამბავი ბებურიშვილს შევატყობინეთ, შემდეგ სანამ ის შემთხვევა მოჰხდებოდა, ბებურიშვილმა მითხრა, ბესარიონ მხეიძე მემდურის რაღაც ქაღალდისათვის, რომელიც გუბერნატორს მივსწერეო. რაზე უნდა მოლაპარაკებოდა მხეიძე არ ვიცი. პრისტავისთვის არა მითქვამს-რა. ამ შემთხვევამდე რა განწყობილება იყო მათ შორის—არ ვიცი, თუმცა ერთმანეთ შორის მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. დაჰკრა თუ არა ჯოხი ბებურიშვილს, არ მინახავს. გამომძიებელს ვუჩვენე, რომ შესაძლოა მხეიძეს მოლაპარაკება უნდოდა ბებურიშვილთან იმ რაპორტის გამო, რომელიც გუბერნატორს გაეგზავნა. მხეი-

*) იხ. „ივერია“ № 44.

---

როგორ ვიფიქრებ, რადგან დღეს სხვის საგლეჯ-საწეწი გავმხდარვართ ორივენი — არა! მე იმას ვფიქრობ ჩემის ქვეყნითურ, მე რაღა წყალს ჩავუდგე, რომ ეს ამოდენა ბრბო ქვეყნებისა ესეთს ფაცურში და მიხეთქ-მოხეთქებაშია. უნდა ვიფიქრო, უნდა, მეტი ჩარა არ არის, ამისთვის თუნდა ახირებული დამარქვით, თუნდა გადახირებული. რასაც ქვეყანა სჩადის, ის მე რად უნდა მეჩოთირებოდეს, იმისთვის სალანძღავ საგინებელი რად უნდა ვიყო?!. ნუ გგონიათ, ვიმეორებ, მე ვისმე წავეტანო, გაიძრე ეს ხალათი და მე ჩამაცვიო. არა, ღმერთმა დამიფაროს, რომ მე სხვისა აძაგს ხელი წავატანო, სხვის ხალათით ბექები დავიმშვენო.

თავზე დამატყდეს ცა რისხვით,
სხივი ნუ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე!

მაგრამ იმისთვის კი ნურას უკაცრავად, რომ გაბრიელმა თავის კონკები, ჯღან-მანი არ დაანებოს ყორანს—კაცსა.

—

აგერ, აგერ მოდის ჩვენი ლოქოს ფაჩა. შენს დანახვას ნეტა შავი კატა ან მურა ქოფაკი დამენახა, ჩემო ლოქოვ! ნეტა ვინ დაარქვა ამას ეს სახელი? ნუ თუ მისთვის სხვა სახელვერ მოიგონებდა გონება-მახვილობა? ვითომ ლოქოსავით ვეება პირი რომ აქვს და მერე როგორი—ლაშები სწორედ ყურებამდის სწვდება, სქელი ტუჩები გუთნის ნაკვალევს მიუგავს და ყველაფერს შესაჭმელად, ჩასაყლაპად ელამუნება, იმიტომ? არა, სარდიონს მე მგელ-კაცს, ანუ მგელას დავარქმევ, რადგან ნამდვილი მგელ-კაცია, სახე აქვს ადამიანისა, ხოლო ბუნება და ხასიათი—მგლისა. ხომ მოგეხსენებათ, მგელი რომ ათასს სულს ცხვარში შევარდეს, განა ერთს, ორს, ან სამს ხომ არ დასჯერდება, მუსრს გაავლებს. ისიც ხომ მოგეხსენებათ, რომ სოფელი ჯერ ისევ სათლელი დუმაა? დიაღ, სათლელია, მაგრამ მგელ-კაცა არა სთლის, არამედ ამ დუმას კბილითა და ბრჯღალებით ჰგლეჯს, ჰფლეთს, რაც ძალი და ღონე აქვს; აცეცებს გამგელებული თვალებს, ერთს წამს ვერ გააჩერებს: შესაჭმელი, ჩასანთქმელ-ჩასაყლაპავი არაფერი დამრჩეს ხუმრობა არ არისო. საკვირველია, რა გვამი აქვს, რა მუცელი, რა სულ-გული? იკლავს თავს, თუ იმისმა ძმამ და მეზობელმა რამ ირგო ან ცხვრით, ან ღორით, ან ძროხით. მაშინ მგელა ვეღარ ისვენებს ერთ ალაგას დადის წინ და უკან, შავის ნახშირისა და სპილენძის ფერი ედება, ხვნეშის, კვნესის: „ჰმ, ჰმ, უყურეთ, უყურეთ, ერთი უყურეთ რა უქნია იმ უხეიროს, რა ფულებს ჩაიჩხრიალებდა!“ კვდება მგელ-კაცა ბოღმით და შურით, ნეტავი ნება ჰქონდეს მგელას, რომ მიახტეს იმ თავის ოფლით მცხოვრებს ადამიანს და ყელი გამოაღადროს, წაართოს ყველაფერი, დაღუპოს, დააქციოს, აიკრიფოს კალთაში, გადაიბოტოს სხვის ამაგზე, ნაწოვ-ნადაგზე. მგელა მხოლოდ მაშინ დაისვენებდა, თავისუფლად მაშინ ამოისუნთქავდა, მანამდე კი თქვენის მტრის სიცოცხლე და ყოფა იყოს, რომ იმის ყოფაა: ძილით არა სძინავს მოსვენებით, ძილშიაც სხვისა სარფა ელანდება და იმას ჰბოდავს: „ვახმე, უხმე, ისმის იმის გულ-ღვიძლიდამ. ამ დროს პურის საჭმელად დაბლა ვერ დაჯდება, მოიტეხს პურსა და გამგელებული ჰყლაპავს ლუკმებს, არ იცის, როგორ სჭამს პურსა, მაშინასავით ამუშავებს ყბებსა და კუჰსა, ეგები დავისვენოვო, მაგრამ გული ისევ თავისას არ იშლის, შემოჰკვნესის: „რადა აქვს, რადა, შენს მოყვასს ერთი ლუკმა პური, წაართვი მოსტაცეო!“

რაღა ქნას მგელ-კაცამ, აღარ იცის, აღარ იცის, ვიზე გახეთქოს ზრაზი. მოუშარებს რასმე თავის ცოლ-შვილს, დაერევა და იმათი ცოდვით ქვებს ატირებს, სახლის კედლებს აქვითინებს. ცოტას ხანს გულს მოიოხებს, მაგრამ მერე ისევ ბოღმა მოაწვება დაუტრიალდება გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი, რაღა ქნას? გაიქცევა იმასთან, ვისი სარგებლობაც ამას წინად გაიგონა, და მიულოცავს—მოგვილოცნია, კაი ფასად გაგიყიდნია, ფული რამდენი აიღე, ეუბნება მგელა თავის მეზობელს და თან ფერი ფერადად ედება სახეზე. ენა სხვას ამბობს, სახის მეტყველება სხვას. რას ამბობს მგელ-კაცას სახე?

— ახ, ნეტა არ იქნება, ან ვინმე მოგპარავდეს მაგ ფულებს, ან დაჰკარგავდე და თუნდა მე ნუ მეპოვნა, რომ დამესვენა სულითა და ხორცითაო.

მგელ-კაცას უნდა სუყველაფერი თითონ იყოს, ყველაფერი იმას ჰქონდეს, რაც-კი რამ სასახელოა ამ წუთი სოფელში: გონება და ქონება; უნდა, რომ ყველა იმაზე ამბობდეს: აი კაცი, აი დოვლათის პატრონი, ზნეობისა, სწავლისა და სხვ. და სხვ. ყველა ეს იმიტომ უნდა მგელას, რომ ხვეტოს, ყვლიფოს, ამტკრიოს, ანგრიოს, სხვა ატიროს და თითონ იცინოს, იმხიარულოს წუთი-სოფელში.

ნარ-ეკალა

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეს ვუთხარი, რომ მაგ რაპორტში საწყენი და შეურაცხმყოფელი მისთვის არა არის-რა.

ივანე დადიანი. ბესარიონ მხეიძე მოწვეული არ იყო; მოწვევაც საჭირო არ იყო, რადგანაც იგი ჩემი მახლობელი ნათესავია. მიქელაძემ მითხრა, მხეიძემ უნდა ბებურიშვილი სალაპარაკოდ გამოიწვიოსო. მე ვუთხარი მხეიძეს, რომ ჩემს სახლში მაგაებს თავი დაანებოს. არ ვიცი, საკამათო საგანი რა უნდა ყოფილიყო. არც ის ვიცი, თუ რა განწყობილება იყო მათ შორის. იმ შემთხვევამდე რა ლაპარაკი ჰქონდათ, არ გამიგონია. გავიგონე, სიტყვა „ПОДЛО“, მაგრამ რისთვის უთხრა ეგ სიტყვა მხეიძემ ბებურიშვილს არ ვიცი. თავში ორჯერ დაჰკრა ჯოხი. უპასუხა თუ არა ბებურიშვილმა იმავე სიტყვით, არ გამიგონია, მხეიძეს ჯოხი ჰქონდა, ხოლო ბებურიშვილისათვის-კი არ წაურთმევია ჯოხი.

ოტია დადიანი. დუქნის აივანზე ვისხედით. მხეიძეს პირი რკინის გზისაკენ ჰქონდა; მობრუნდა ჩვენსკენ და უთხრა ბებურიშვილს დინჯად, ხოლო მწყრალად-კი არა: თქვენთან ლაპარაკი მსურსო. მე და ბებურიშვილმა ვუპასუხეთ: აქ მაგის დრო და ადგილი არ არისო. ბებურიშვილმა-კი დაუმატა: აქ არა და სხვაგან. სადაც გნებავსთ. მაშინ მხეიძემ უთხრა, მთავრობის წინაშე რადა მსვრითო (зачѣмъ очернили меня предъ начальствомъ); იქნება სიტყვა „გუბერნატორი“ იხმარა, მაგრამ არ მახსოვს. შემდეგ მხეიძემ ჯოხი დაჰკრა ბებურიშვილს და ბებურიშვილი თხრილში ჩავარდა (въ колоду).

სოლომონ ბესელია. რა ლაპარაკი ჰქონდეთ მხეიძეს და ბებურიშვილს არ ვიცი, ხოლო შემომესმა სიტყვა „გუბერნატორი“. მერმე მხეიძემ ჯოხი დაჰკრა ბებურიშვილს.

გ. დადიანი. დავინახე, რომ მხეიძემ ბებურიშვილს ჯოხი დაჰკრა თავში, ხოლო მიზეზი რა იყო, არ ვიცი, ლაპარაკი არ გამიგონია. ერთმანეთისათვის ხელი არ წაუვლიათ. ბებურიშვილი თხრილში ჩავარდა. როდესაც ამოვიდა იქიდამ, ჯიბიდგან რევოლვერი ამოიღო.

გიორგი კიზირია: მხეიძემ ორჯერ დაჰკრა ბებურიშვილს. მეორედ რომ დაარტყა, ბებურიშვილი თხრილში ჩავარდა; იმის გამო ჩავარდა, რომ მხეიძემ გულში ხელი ჰკრა, სანამ მხეიძე ჯოხს დაჰკრავდა, ბებურიშვილი წინ არ წამოწეულა. მხეიძემ მაშინ დაჰკრა, როცა ბებურიშვილმა ეს-ეს იყო ზეზე ადგომა დააპირა. ერთანეთს არ შებმიან. მეორედ რომ დაჰკრა, ბებურიშვილი თხრილში ჩავარდა.

სოლომონ სახუტია. იგივე უჩვენა, რაც კიზირიამ.

გუსარია შაშავა. იგივე უჩვენა, რაც ბესელიამ სთქვა, ხოლო დაუმატა, რომ ბებურიშვილმა და მხეიძემ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდესო, და აგიაშვილმა და სხვებმა გააშველესო. სიტყვა „გუბერნატორი“ შემომესმა; ეს გარემოება გამომძიებელს არ მოვახსენე იმიტომ, რომ არ უკითხავსო და თუ ეხლა ვიხსენიებ, იმიტომ რომ დავიფიცეო.

დიმიტრი მხეიძე (ძმა ბრალდებულისა). უსიამოვნება ბებურიშვილისა და ჩემ ძმას შორის ჩამოვარდა მიწის გამო. ჩემის აზრით, ის სიტყვები, რომელიც ბებურიშვილმა იხმარა თავისს რაპორტში სრულიად არ იყო საწყენი ჩემის ძმისთვის. ეგ სიტყვები უფრო სხვებს ეხებოდა, ვიდრე ჩემს ძმას. ბებურიშვილი ჩემსას იყო სადილად და იმ რაპორტზე გვქონდა ლაპარაკი, ლუკა ჟვანიას ვთხოვე, რომ ჩემის ძმის მაგიერ ბებურიშვილს არა უთხრა-რა რაპორტის გამო.

დიანოსე ჟვანია. შევნიშნე, რომ მხეიძე და ბებურიშვილი ერთმანეთს შებმოდნენ. შემდეგ მხეიძემ ხელი ჰკრა, ორჯერ ჯოხი დაჰკრა. ამაზე ბებურიშვილმა მხეიძეს რევოლვერი ესროლა. იმათი ლაპარაკი არ გამიგონია.

პესტუ ნარაკიძე. იგივე სთქვა, რაც ჟვანიამ; ხოლო ის დაუმატა, რომ მხეიძემ ერთხელ დაჰკრა ჯოხით.

დავით მხეიძე. იგივე აჩვენა, ხოლო დაუმატა: ასე მახსოვს, რომ მხეიძემ ბებურიშვილს ჯოხი წაართვა და ორჯერ დაჰკრა თავში. ამ დროს ბებურიშვილს ხელში ჯოხი არა სჭერია.

ანტონ დადიანი. ერთხელ, სამის თვის წინად ამ შემთხვევამდე, რკინის გზით მოვდიოდი შორაპნიდგან სენაკში. ვაგონში დავინახე, რომ ბებურიშვილი ელაპარაკებოდა ვიღაცა ორს ჩინოვნიკს, რომლებსაც ფრაკი ეცვათ, ყველა მხეიძეებს აძაგებდა. ბესარიონ მხეიძეზე უთხრა, რომ ძმას უღალატაო, ვიღაც გლეხს ალანიას მიუდგა, რომელსაც კაცის მოკვლას სწამებენო. ბებურიშვილმა კარგად იცოდა, რომ მე მხეიძის ნათესავი ვარ. ერთხელაც დავესწარი, რომ ბებურიშვილი სენაკის ბულვარში აგინებდა ვიღაცეებთან მხეიძეს: უსინიდისოს უწოდებდა და სხვა. ამას სენაკშიაც მცხოვრებლებს ელაპარაკებოდა, ხოლო არ მახსოვს სახელდობრ—ვის.

გ. ბებურიშვილმა უარ-ჰყო ან. დადიანის ჩვენება და სთქვა, კარგად ვიცოდი, რომ დადიანი და მხეიძე ნათესავები არიან. თან დაუმატა: არც ჩემი მოხუცებულობა და არც მდგომარეობა ნებას არ მაძლევს ვინმე ასე მოურიდებლად ვლანძღო გზაზე და ქუჩაშიო.

მათე თებზაია. ბებურიშვილს და მხეიძეს კარგად ვიცნობ. გამიგონია, რომ ბებურიშვილი აძაგებდა მხეიძეს. ბებურიშვილისას მრავალჯერ ვყოფილვარ.

გ. ბებურიშვილმა ეს ჩვენებაც უარჰყო და სთქვა, რომ თებზაიასათვის არაფერი არ მითქვამს მხეიძის შესახებ; ჩემსას არაოდეს არ ყოფილაო.

ნიკო ჯაჯვხია. ვიცოდი, რომ ბებურიშვილსა და მხეიძის შორის კარგი განწყობილება არ სუფევდა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ჩემს ქალს მასწავლებლის ადგილს შეჰპირდნენ სენაკის სკოლაში და ამისდა მიუხედავად სხვა მიიწვიეს. ამ სკოლის მზრუნველი ბებურიშვილის მეუღლეაო.

ტიგუ ჯიჯიხიამ (ზუგდიდის მაზრის მცხოვრები) სთქვა, რომ ბებურიშვილისაგან მხეიძის ძვირები გამიგონიაო.

ბებურიშვილმა ამის ჩვენებაც უარჰყო.

თეიმურაზ აგიაშვილი. ამ ამბავის შემდეგ ბებურიშვილი დაედევნა მხეიძეს, მეც გავეკიდე ბებურიშვილს და, რევოლვერის წართმევა რომ მოვინდომე, რევოლვერი გავარდა. ხოლო არ ვიცი, განზრახვით გაისროლა ბებურიშვილმა, თუ შემთხვევით გავარდა.

როცა მოწმეებს ჩვენება ჩამოართვეს, ვექილის თხოვნით წაკითხულ იქმნა ნამსახურობის სია ბ-ნ მხეიძისა, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ უსასყიდლოდ უმსახურნია, და აგრეთვე Копія съ рапорта Сенакскаго уѣзднаго начальника, отъ 3-го іюля 1892, года № 1840, господину Кутаисскому военному губернатору.

„23 მარტს ამა წელსა თეკლათის საზოგადოების მცხოვრები პორფირე ჯაგარკავა შეუდგა გზის გადათხრას, რომლითაც დიდი ხანია სარგებლობდა 6 კომლი გლეხი: კუპრეიშვილები, მეგრელიშვილები, გვასალიები და ბერიშვილები. ამ გლეხების საჩივარის გამო ადგილობრივმა ბოქაულმა, ბ-ნმა ახვლედიანმა, გასინჯა გზა და უბრძანა ჯაგარკავას, გზას ნუ სთხრიო, მაგრამ ჯაგარკავამ ეს ბრძანება არ აასრულა და 23 მარტს გზა შეჰკრა. ამიტომ ვუბრძანე ბოქაულს, ეს საქმე გამოერკვია და, თუ აღმოჩნდებოდა, რომ გლეხებს კუპრიაშვილსა და სხ. მეორე გზა აღარა აქვთ, ჯაგარკავას მიერ შეკრული გზა გაეხსნა, მაგრამ ამ ბრძანების ასრულება მევე გადავდე, რადგანაც თ. ბესარიონ მხეიძემ მითხრა, ის ადგილი, სადაც წინად გზა იყო, ჯაგარკავას დაუთმე და, თუ შეკრულ გზას ისევ გახსნით, ჩემთვის საზარალო იქმნებაო; ამასთანავე თ. მხეიძემ დასძინა, შეიძლება ახალი გზა გაკეთდეს ჯაგარკავას მამულის გვერდზეო, და მთხოვა საქმის მორიგებით გათავება მაზრის სამმართველოს საქმეთა მწარმოებელს თოფურიძეს ჩააბარეთო. მე ავასრულე თ. მხეიძის თხოვნა. საქმე ასე დაბოლოვდა: გზა უნდა გაკეთებულიყო ჯაგარკავას მამულის გვერდზედ; ამასთანავე ჯაგარკავას მეზობელმა თ. ფარნაოზ მხეიძის მოურავმა მუთუნია მოსაბიშვილმა განაცხადა, გზისთვის საჭირო ადგილს მე დაუთმობო. 6 ივნისს, როცა მისაბიშვილი თავის მამულში მუშაობდა და თხრილს მიწით ავსებდა (სწორედ ეს ადგილი დაუთმო გზას მისაბიშვილმა), ამ დროს ახალ სენაკის გლეხის ივანე ალანიას მიერ გამოგზავნილი მისი მოსამსახურე გალარიბებული თავადი პლატონ მხეიძე მიეჭრა მისაბიშვილს და თავში კეტი დაჰკრა, რისგანაც მისაბიშვილი გარდაიცვალა.

რადგანაც: 1) ჯაგარკავამ არც ძველი გზა გახსნა და არც ახალი და ამ მიზეზით მკვლელობა მოხდა, 21 გლეხ. კუპრიაშვილებსა და დანარჩენ 5 კომლს გზა შეკრული ჰქონდათ და რომ კიდევ სხვა უწესოება არ მომხდარიყო, ვუბრძანე ბოქაულს, ჯაგარკავას მამულზედ გზა გახსნილიყო.

საჭიროა ვიცოდეთ, რად დაიჩემა იგივე ადგილი ივანე ალანიამ, და გამოირკვეს კიდევ საქმის ნამდვილი ვითარება. მისაბიშვილი მოჰკლა ივანე ალანიას მიერ გამოგზავნილმა თ. მხეიძემ. რად მიუგზავნა ალანიამ მხეიძე მისაბიშვილს, არავინ იცის. ალანია ტყუილ პირობით შეეკრა მამულის ნამდვილ პატრონთ და მისაშვილის მოკვლის მეორე დღეს გამოუცხადა გამომძიებელს, ის ადგილი, სადაც გზა უნდა გაეყვანათ, მე მეკუთვნის და არა თ. ბესარიონ მხეიძეს, ან ჯაგარკავასაო; მაგრამ ყველა ეს ტყუილია.

საბუთები:

1) ივანე ალანია ზემოხსენებულ მიწას ედავებოდა თ. ბესარიონ გრიგოლის ძეს მხეიძეს. საქმე სასამართლოში სწარმოებდა, მაგრამ 1888 წელს მოისპო.

2) იმავე თ. მხეიძემ მიჰყიდა ზემოხსენებული ადგილი პორფირე ჯაგარკავას 250 მანათად, იმ პირობით, რომ შემდეგ ნასყიდობის ქაღალდიც უნდა მიეცა. ეს საქმე შემოწმებულია სენაკის ნოტარიუსის მიერ 13 მაისს 1891 წელს. 1892 წელს მარტში თ. მხეიძემ სრულიად გადასცა ჯაგარკავს გაყიდული ადგილი და იმანაც შემოღობა და დასთესა კიდეც.

3) ამ ჟამადაც ეს ადგილი ჯაგარკავას ეკუთვნის და მაშასადამე, უსაფუძვლო მოხსენებაა ჯაგარკავასი, ვითომ ეს ადგილი ალანიას დაუთმო, როგორც თქვენი აღმატებულებაც დარწმუნდება გასულ თთვის 23 ს შედგენილ პროტოკოლიდგან, რომელიც ამ მოხსენებასთანავეა წარმოდგენილი.

4) როგორც ჰმოწმობს ბოქაული ახვლედიანი, მისაბიშვილის მოკვლის წინა დღეს, იმასთან იყვნენ თ. ბესარიონ მხეიძე და ჯაგარკავა; გზის თაობაზედ ლაპარაკი ჩამოაგდეს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმაზე, რომ ადგილი ალანიას ეკუთვნისო. ამ ლაპარაკს დაესწრო საქმის მწარმოებელი თოფურიძეც.

ვაუწყებ რა ყველა ამას თქვენ აღმატებულებას, ამასთანავე წარმომიდგენია გასულ თთვის 19 ბრძანებასთან (№ 4086) ჩემდამი გადმოცემული თხოვნა ალანიასი და ყველა ზემო-ნათქვამს დავსძენ, რომ ძლიერ საკვირველია კადნიერება ალანიასი, რომლის საქციელმაც მოხუცი მისაბაშვილი სიცოცხლეს გამოასალმა და ახლა სხვის ადგილსა და ღობეს იჩემებს“.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

გაზეთი „Кіевлянинъ“-ი სწერს: წლეულ შესრულდება ასი წელიწადი მას აქედ, რაც პოლონი მეორედ გაინაწილეს დიდმა სახელმწიფოებმა. თავისის სამშობლოს ასეთ სამწუხარო ამბის მოსაგონებლად ქალაქ ლვოვის მოსწავლე ახალგაზდობას კრება გაუმართავს და გარდაუწყვეტია: ამ 1893 წელს ყოველი ჭეშმარიტი პოლონელი ძაძა-ფლასით შეიმოსოს და მით იგლოვოს სამშობლოს მწარე ბედიო.

— „С.-Петерб. Вѣд.“ სწერს: „იმ კომისიას, რომელიც ნაფიც მსაჯულთა უფლების შესამცირებლად სენატორ ბეზროდნის თავმჯდომარეობით მუშაობდა, უკვე გაუთავებია თავისი საქმე; კომისიის მიერ ამ საგნის შესახებ შედგენილი პროექტი წლეულსავე გაირჩევა სახელმწიფო საბჭოში. ამბობენ, ახალი პროექტი ნაფიც მსაჯულებისა სასამართლოს ბევრნაირ საქმეთა გარჩევის უფლებას ჩამოართმევსო. ამას გარდა იუსტიციის მინისტრს ბევრ სხვა პროექტის შეტანაც განუზრახავს სახელმწიფო საბჭოში. ეს პროექტები არკვევს, თუ რა წესები უნდა დაემატოს მამულის მფლობელობის კანონს.

— გაზ. „Кіевское слово“-ს გამოუანგარიშნია, თუ რამდენს იხდიან შაქრის მხარჯველნი მარტო ქაღალდისათვის, რომელშიაც შაქარს ახვევენ.

„1 სექტემბრიდგან 1890 წლისა 1 სექტემბრამდე 1891 წ. რუსეთის ბაზარში გატანილა გასაყიდად სხვა-და-სხვა შაქრის ქარხნებიდგან 23,166,065 ფუთი შაქარი. ერთ ფუთ შაქრის გასახვევი ქაღალდი ორ გირვანქას იწონს; მაშასადამე, ზემოდ-აღნიშნულ შაქარზე 46,332,130 გირვანქა ან $1{,}158{,}303\frac{1}{4}$ ფუთი ქაღალდის ფასი გარდაუხდიათ შაქრის მყიდველებს.

— პეტერბურგის სამოქალაქო სასტასტისტიკო ბიუროს გამგედ განსვენებულ პროფესორ იანსონის მაგიერ დაუნიშნავთ ი. ი. პოკროვსკი.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 21-ს თებერვალს გარდაიცვალა დასავლეთ ევროპაში უპირველეს კრიტიკოსად ცნობილი იპ. ტენი. ტენი დაიბადა 21 თებერვალს 1828 წელს; 1853 წელს საფრანგეთის უმაღლეს საოსტატო ინსტიტუტში დაამთავრა სწავლა და დიპლომიც მიიღო. როგორც ფილოსოფოსი, ტენი მთელს საფრანგეთში და სხვა ქვეყნებშიაც ცნობილია. დაწერილი აქვს ორი საყურადღებო წერილი: „ბილლის გარჩევა“, „ჭკუა და ცოდნა“. ტენმა ბევრი დასწერა ხელოვნების შესახებ. ტენმა კარგად შეისწავლა ბუნების მეცნიერება და მის მეთოდით არჩევდა სალიტერატურო ნაწარმოებს, ე. ი. ყოველ თხზულებას მწერალისას, ტენის აზრით, აზის ბეჭედი გვარ-ტომობის თვისებათა, ადგილის ჰავამდებარეობისა, დროსი, ზნე-ჩვეულებათა და გარემოებისა. ამ გვარი კრიტიკა—„რეალურია“, ჭეშმარიტი, და ამით აიხსნება ტენის კრიტიკის ძალა და მნიშვნელობა ეხლანდელ ევროპის მწერლობაში.

**ავსტრი ვენგრია.** განზრახვა ჰქონდათ პაპთან დეპუტაცია გაეგზავნათ, მაგრამ არ მოხერხდა. რუსინთა სამღვდელოებამ სადღესასწაულო კრება გამართა. კრების დროს სტუდენტებმა დემონსტრაცია მოახდინეს ეპისკოპოსის სები ბრატოვიჩის წინააღმდეგ და პროფესორს შარანევიჩს, რომელიც სიტყვას ამბობდა პაპის იუბილეის გამო, ამ სიტყვის დათავება არ დააცალეს.

რეიხსრატის კრებაზედ მლადოჩეხი გრეგერი ამტკიცებდა, რომ ჩეხიისა და გერმანიის მორიგება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ ჩეხებს სრულს თავისუფლებას მიანიჭებენო. გერმანელმა დეპუტატმა ბ-ნმა რუსმა უპასუხა, თუ ჩეხებს სრული თავისუფლება გინდათ, თქვენც თქვენის მხრივ თავი უნდა დაანებოთ გერმანელთა წინააღმდეგ აგიტაციასაო.

**იტალია.** გაზეთებში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობები რომის საემისიო ბანკის რევიზიის შესახებ. ამ გაზეთე-

ბის სიტყვით, რომის ბანკს დეფიციტი ჰქონია 49 მილიონი, სიცილიის ბანკს—6 მილიონი, ნეაპოლისას—15 მილიონი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

I.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო როგორც ჩემას, ეგრედვე ჩემის შეგირდების მხრივ, კნეინა ვარდოფინე გ. მაქსიმენიშვილისას, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულ მაკვანეთის სასოფლო სკოლას ხუთი მანეთი (5 მან.), და აგრედვე სტალარს ივლიანე ანდღულაძეს, რომელმაც უსასყიდლოდ გაუკეთა ზემოხსენებულ სკოლას ერთი სტოლი.

მაკვანეთის სკოლის მასწავლებელი ნ. ჯანაშია
1893 წ.
4 მარტს.

II

ამასთანავე გიგზავნით ოც-დაათს მანეთს ფულს და შემომწირველთა სიას და გთხოთ ეს ფული გარდასცეთ განსვენებულ ი. ი. კერესელიძის სახლობას.

თეიმურაზ ნოდიამ 1 მ., ალექსანდრე ფურცელაძემ 1 მ., ლეონ ტერ-გრიგორიევმა 1 მ., ნიკოლაი ტერაძემ 1 მ., ალექსანდრე თოფურიძემ 1 მ., სოლომონ დოლიძემ 1 მ., კალისტრატე ჩიქოვანმა 1 მ., მიხაილ ჩიქოვანმა 1. ნესტორ შუშნიამ 1 მ., №№ 1 მ., ნიკოლოზ იოსელიანმა 1 მ., იოსებ ჟორდანიამ 1 მ., ივანე ამირანოვმა 1 მ., კონსტანტინე გაგუამ 1 მ., ივანე შარუხიამ 1 მ., დიმიტრი ქვლივიძემ 1 მ., ნიკოლოზ ყაზბეგმა 1 მ., სიმონ კალანდარაძემ 1 მ., მართა ნოდიასამ 1 მ., იოსებ ნოდიამ 2 მ. ერმილე გერმეხემ 1 მ. ერთად ჯამი 22 მანეთი.

იაკობ ნოდია
22 თებერვალს, 1893 წ.
განჯის რკინის გზის სადგური

# დეპეშა

3 მარტი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა განკარგულება, მოსკოვი-კურსკისა და ორენბურგის რკინის გზები 1893 წლის 1 იანვრიდგან ხაზინას გადაეცეს.

**პარიჟი.** რიბომ სთქვა სენატში, კარნოს არაოდეს არ მიუღია სია იმათი, ვინც პანამის საზოგადოებას დაუქრთამავს, და ეს მხოლოდ საზიზღარი ცილის წამებაა, რომელიც საფრანგეთს არ შეჰფერისო (ტაშის ცემა მარცხნივ).

ბურჟუა დასთანხმდა ხელ-ახლად მიიღოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.

**კალკუტა.** აჯანყებულები დაეცნენ ბრიტანიის ციხეს ხილასში, მაგრამ უკუ იქცნენ; მოკლულ იქმნა 200 კაცი. ინგლისელების მხრიდან მოკლულ იქმნა 23 კაცი, დაჭრილია ციხის კომენდანტი და 29 კაცი. მტერი უკუ იქცა; ხილასში გაჰგზავნეს მისაშველებლად კიდევ 250 კაცი.

## პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,57 | 7,60 | — ,, |
| ტრამიყნის კუპონები | 151 1/4 | 152 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,07 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 240 1/4 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 222 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 194 1/2 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 102 | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 99 3/8 |

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

დღეს, 5 მარტს, ერევნის მოედანზედ, დილის ათ საათზედ, დაიწყება აუქციონით გაყიდვა სხვა-და-სხვა მებელისა და შინაურ წვრილმან ავეჯისა.

ქ. განჯა. 12 მაისისათვის დანიშნულია საჯარო გაჯრობა ეგიშ მუგდური გრიქოროვის მამულისა; დაფასებულია 3,100 მანათად.

ქ. შუშა. 24 მარტასათვის დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა აღა-ბეგ-მელიქ მირზახანოვის ქვითკირის სახლისა; დაფასებულია 300 მანათად.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა 11 მაისს ვაჭრობით გაჰყიდის მამულს კნეინა ბარბარე გიორგის ასულის ბარათაშვილისას, მამული თიანეთის მაზრაშია, სოფელ თრენში: დაფასებულია 10530 მანეთად.

1 ქვეითა ჯარის ბატალიონი, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში სოფ. ართვინში, 10 აპრილისათვის იწვევს იჯარადრებს. იჯარადრი ვალდებულია ზემოხსენებულ ბატალიანს აძლიოს ყოველ გვარი სურსათი ამა მდგომარე წელიწადს. გირაოდ უნდა წარადგინოს 1000 მანეთი.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშ ბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 | „ |
| „ „ 2 „ „ „ | 3 1/2 | |
| „ „ 3 „ „ „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 | კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ „ 3 „ | 3 1/2 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 | „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 | კ. |
| სუკი — — — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 | „ |

# განცხადებანი

**კავკასიის რკინის გზის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ 22 მარტს, ხაშურის სადგურზედ, ვაჭრობით გაისყიდება ნახმარი ხისა და ლითონის ავეჯი ® მასალა: შკაფები, სტოლები, კასრები, ნიჩბები, ფარნები, ვედროები, ჯაჭვები, თასები, თუჯის ფეჩები, სამუშაო იარაღი და სხვა; აგრედვე შენობის მასალა. (3—3)

**თესლეულობით ვაჭრობა**

გ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი ღ ე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

(15—8)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—23)

გამოვიდა და ისყიდება

**მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები**

და

**ოსმალური ანდაზები**

ოსმალურით გადმოთარგმნილი

**ალექსანდრე იაკ. მირაქ—ს მიერ**

ფასი 20 კაპ.

**ტფილისში:** „წერა-კითხვის გამ.“ საზ. მაღაზიაში, გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ, იზმიროვის ქაღალდის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ და ვაგზალზედ ბუტკაში;

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ, на Армянск. баз. д. Манташева. Александру Миракову. ვინც ხუთ ცალს იყიდის, მანეთზედ 20 კ. დაეთმობა.

# აგური

კაპიტანის მეუღლის ეკატერინე ისაკის ასულის კალატოზიშვილის ახლად გამართულ აგურის ქარხანაში იყიდება რუსული საუკეთესო აგური და ქართულიც **ბაცილებით იაფად, ვიდრე სხვა ქარხანებში.** აგურის მყიდველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ნორაშენის ქუჩა, სახლი ბადრიძესი № 3. ვთხოვთ მსურველთ, ორი კვირის წინად შემოგვიკვეთონ ხოლმე, რამდენის აგურის ყიდვაც უნდათ.

(6—3)

**ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** სალებავ წამლებისთვის და ზეთება კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბულდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრედვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—6)

# მექარხნეები

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**ბენდერ-სტეფანოვი**

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—3)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—44)

Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**